



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის

სახელმწიფო საზღვაო აკადემიასა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის

13/05/2022

ერთი მხრივ, „სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (შემდგომში „საზღვაო აკადემია“), წარმოდგენილი რექტორის მურთაზ დევაძის სახით და მეორე მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში „ქ.ფოთის საკრებულო“), წარმოდგენილი ქ.ფოთის საკრებულოს თავმჯდომარეს ალექსანდრე ტყეშუჩავას სახით, შემდგომში მხარეებად წოდებული, თანხმდებიან Erasmus+-ის ინსტიტუციური განვითარების პროექტის - „რეგიონალური უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში“ (შემდგომში „პროექტი“) ფარგლებში, რეგიონის განვითარების ხელშეწყობისა და საგანმანათლებლო საკითხებში თანამშრომლობის მიზნით, გააფორმონ მემორანდუმი.

მუხლი 1

მხარეები თანხმდებიან:

- 1.1 ითანამშრომლონ პროექტის ფარგლებში, პროექტით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად, საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებული ერთობლივი პროექტების მოსამზადებლად და განსახორციელებლად;
- 1.2 ხელი შეუწყონ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებასა და განვითარებას;

მუხლი 2

2.1. საქართველოს კანონმდებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში, ზემოხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები გამოხატავენ მზადყოფნას და თანხმდებიან საგანმანათლებლო სფეროში რეგიონის როლის გაძლიერების მიზნით ერთობლივად მოახდინონ/უზრუნველყონ:

2.1.1. ერთობლივი კონფერენციების, სემინარების, საკვალიფიკაციო კურსების, საზაფხულო სკოლების და პრაქტიკული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ორგანიზება;

2.1.2. ორივე მხარისათვის საინტერესო დარგებში კონსულტაციის, საექსპერტო მომსახურების განწევა.



- 2.1.3. ორივე მხარისათვის საინტერესო დარგებში ინფორმაციის, მასალებისა და კვლევითი პუბლიკაციების გაცვლა;
- 2.1.4. ერთობლივი მოკლევადიანი პროექტების განხორციელება.
- 2.1.5. ურთიერთშეთანხმების შესაბამისად სხვა სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობა.
- 2.1.6. რეგიონის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერა.
- 2.1.7. შესაძლებლობების ფარგლებში, ხელი შეუწყონ სტუდენტების სტაჟირების გავლას ან/და დასაქმებას.

მუხლი 3

- 3.1. თანამშრომლობა მხარეებს შორის განხორციელდება ურთიერთთანასწორობის პრინციპების დაცვით.
- 3.2. მემორანდუმი არ ითვალისწინებს მხარეებს შორის რაიმე სახით და/ან ფორმით ფინანსური ვალდებულებების წარმოშობას, თუ სხვა რამ არ იქნა დადგენილი მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების საფუძველზე. ყოველ კონკრეტულ ისეთ აქტივობაზე, რომელიც დაკავშირებული იქნება ფინანსებთან, მხარეთა შორის გაფორმდება ცალკე ხელშეკრულება.

მუხლი 4

- 4.1. ამ მემორანდუმის ინტერპრეტაციისა და განხორციელებისას მხარეებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება მოლაპარაკებების გზით;
- 4.2. წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული შესაბამისი აქტივობების განხორციელების მიზნით, მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისთვის, შესაძლოა მხარეთა შორის გაფორმდეს დამატებითი წერილობითი სახის შეთანხმება;
- 4.3. მემორანდუმი ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 3 (სამი) წლის ვადით.
- 4.2. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

სსიპ-სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმი
სახელმწიფო საზღვაო აკადემია
ქ.ბათუმი რუსთაველის ქ.№53

ქალაქფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ქ.ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ.№12

რექტორი

საკრებულოს თავმჯდომარე

მურთაზ დევაძე

ალექსანდრე ტყეშელაშვილი

